

თამარ გამსახურდია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

საბანკო დივერსიფიკაციის შეფასების და მართვის პრაქტიკის ანალიზი
ქართულ ბანკებში

ბანკის მოგება სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდისას იზრდება. დღეს საბანკო მომსახურების ბაზარი მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული, მიუხედავად იმისა, რომ ბანკები მაქსიმალურად ცდილობენ მის ათვისებას.

საქართველოს საბანკო სექტორი 2010-2011 წწლებში იდგა რამდენიმე გამოწვევის წინაშე. მთავარი გამოწვევა იყო 2009 წლის ზარალიანი ტრენდის დაძლევა და შეუქცევად მოგებაზე გასვლა. 2009 წელი საბანკო სექტორისათვის უმძიმესი გამოდგა, რაც დაკავშირებული იყო 2008 წლის რეცესიული პრობლემების მემკვიდრეობასთან. მართალია, ქვეყანამ მიიღო სოლიდური საერთაშორისო დახმარება, მაგრამ საბანკო სექტორზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, ვადაგადაცილებული სესხების ზრდის ტენდენცია. ამას დაემატოთ პრობლემური სესხების ამორტიზაციისა და რესტრუქტურისაციის ხარჯები, რამაც საბოლოო ჯამში სისტემის ზარალზე გასვლა გამოიწვია. აგვისტოს ომმა საბანკო სექტორი დააზარალა, და როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მოვლენები დააჩქარა, რადგან საქართველოს საბანკო სექტორში კრიზისი უკვე იწყებოდა.

სამშენებლო კომპანიების საკუთრებაში მყოფი ბინების უმეტესობა კრედიტით იყიდებოდა, დეველოპერების უმეტესობა ფულს ბანკებიდან სესხულობდა. ექსპერტები ბევრს საუბრობდნენ, რომ ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და სამშენებლო კომპანიების ძლიერი ურთიერთდამოკიდებულება სავალალოდ დასრულდებოდა და პირამიდა უზარმაზარ პრობლემას შექმნიდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ბანკები სულ უფრო მეტ შემოსავალს იღებდნენ, მცირდებოდა რენტაბელობის მაჩვენებლები. ROA (მოგება აქტივებზე) თუკი 2002-2007 წლებში საშუალოდ 3.1 იყო, 2007 წლის 7 თვეში 1.7-მდე დაეცა. რაც შეეხება ROE-ს (მოგება კაპიტალზე), ამ მაჩვენებელმა შესაბამის პერიოდებში 13.5-დან 8.3-მდე დაიწია. 2007 წლიდან საქართველოს საბანკო ბაზარზე კონკურენცია გაიზარდა. ბოლო წლების განმავლობაში საბანკო სისტემის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შეფარდება საკრედიტო დაბანდების მოცულობასთან მცირდებოდა და 2007 წლის ივლისისათვის 3.3%-მდე დაიწია.

ცხადია ერთი, 2008 წლის აგვისტოს ცნობილ მოვლენებამდე საქართველოს საბანკო სისტემა უკვე იდგა არსებითი პრობლემების წინაშე და ეს პრობლემები იყო მნიშვნელოვანი და აშკარა. ამ კონფლიქტმა ფაქტობრივად, გამოავლინა ყველა შიდა ეკონომიკური, მათ შორის საბანკო, წინააღმდეგობები და დისპროპორციები, რომლებიც უკვე არსებობდა ამ პერიოდამდე. ხოლო სექტემბერ-ნოემბერში, როცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გამწვავდა, ეს დისპროპორციები გაღმავდა და საქართველოს ეკონომიკისა და საბანკო სექტორის საშუალოვადიან განვითარებას ღრმა კვალი დაასვა.

2010 წლისათვის მეორე არანაკლებ სერიოზული გამოწვევა იყო ინფლაცია, რაც მსოფლიოში მიმდინარე და ეკონომიკურ კატაკლიზმებს უკავშირდება. საბანკო სისტემის მოგებამ 2010-2011 წლებში მოგება მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაშინ როდესაც 2009 წლის ზარალი 65 მლნ ლარი იყო. 2009 წლის შედარებით დაბალი საკრედიტო აქტივობის შემდეგ, 2010-2011 წელს ბანკებმა საკმაოდ აქტიური საკრედიტო პოლიტიკა აწარმოეს. რეცესიის შემდგომ პერიოდში საკრედიტო პორტფელის 30%-იანი ზრდა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, ხოლო ცალკეული ბანკები ს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო.

დღეს ქვეყნის ეკონომიკის კონიუნქტურა სექტორულ განვითარების თვალსაზრისით ისეთია, რომ პრიორიტეტი ვაჭრობის სფეროს ენიჭება და აქედან გამომდინარე საკრედიტო პორტფელში ვაჭრობის სფეროს დაფინანსებას 65%-ი უკავია.

უახლოეს წლებში რეგიონალური და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, დასაქმების ზრდასთან ერთად, საბანკო მომსახურების ცენტრიდან რეგიონებში გადატანას შეუწყობს ხელს. ბანკის მოგება სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდისას იზრდება. რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება დასაქმებული, ხოლო ბიზნესი ს მხრიდან საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნის ზრდა, პირდაპირ აისახება საბანკო სექტორის მოგების მაჩვენებელზე. შესაბამისად, დღეს საბანკო მომსახურების ბაზარი მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული, მიუხედავად იმისა, რომ ბანკები მაქსიმალურად ცდილობენ მის ათვისებას.

საქართველოში გამოიკვეთილია ბანკების სამი ტიპი: 1. რომლებსაც ჰქონდათ დივერსიფიცირებული აქტივები და სამშენებლო და სამთო მომპოვებელ ბიზნესს მჭიდროდ არ უკავშირდებოდნენ ("პროკრედიტ ბანკი საქართველო", ბანკი ქართუ); 2. მსხვილი ბანკები ("საქართველოს ბანკი", "თი-ბი-სი ბანკი", რესპუბლიკა ბანკი/სოსიეტე ჟენერალი ჯგუფი), რომლებმაც შესაბამისი გადარჩენის გეგმა შეიმუშავეს, უცხოური სახსრები მოიზიდეს და კვლავ ლიდერ ბანკებად რჩებიან; 3. მშენებლობაზე მჭიდროდ მიბმული ბანკები, რომლებსაც აქტივების ნაკლები დივერსიფიკაცია და კლიენტი ჰყავდათ (სახალხო ბანკი).

2008 წელს საქართველოს საბანკო სექტორს ახალი ბანკები შეუერთდნენ. ყაზახური "ხალიკ ბანკი საქართველო", რომელმაც 2008 წელს დაახლოებით 50 მლნ. დოლარის ინვესტიცია განახორციელა. "HSBC ბანკი" საქართველოს საბანკო სექტორს 2008 წლის 23 ივნისს შეუერთდა, რომლის კაპიტალი დაახლოებით 16,7 მლნ. დოლარია. ბანკი "თეთრის" ბაზაზე ჩამოყალიბდა "პირველი ბრიტანული ბანკი", რომელმაც მისი აქტივები 2007 წელს 8,5 მლნ. ლარად შეიძინა. "სტანდარტ ბანკი" მფლობელმა (სალფორდ კაპიტალმა) 2008 წლის მარტში ბანკი "კორ ბანკს" 42 მლნ. დოლარად მიჰყიდა და ახლა ბანკი "დაბი ჯგუფს" ეკუთვნის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქართველოს საბანკო სექტორში შექმნილი მდგომარეობის გამო, არ არის გამორიცხული ახალი მცირე ზომის უცხოური კაპიტალის ბანკების საქართველოს ბაზრიდან გასვლა. ბანკების კატეგორიებად დაყოფა იმაზე მეტყველებს, რომ საბანკო ბიზნესის პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა გაგრძელდეს დეპოზიტური მომსახურების პროდუქტის პოპულარიზაცია და ანაზღაურების განთავსების წახალისება. გარდა მოსახლეობის მიერ განთავსებული ანაზღაურებისა, ქართულ საბანკო ბიზნესს ლიკვიდობის პრობლემის გადასაჭრელად ესაჭიროება უცხოეთიდან მოზიდული სახსრებიც. არსებული პრობლემების დაძლევაში მნიშვნელოვანია უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ბანკების

რაოდენობის გაზრდა. ქართულ საბანკო სექტორში ყველაზე დიდი მოთამაშე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია. ევრობანკი ყველა მსხვილი და შედარებით მსხვილი ბანკის აქციების ყიდვითაა დაკავებული. ექსპერტთა ნაწილი EBRD-ის ქართულ საბანკო სექტორში უფრო ღრმად შემოსვლას დადებითად აფასებს, რადგან, როგორც ისინი მიიჩნევენ, ყველაგან, სადაც იზიარდი~ წილს ყიდულობს, მენეჯმენტის გაჯანსაღებას ახდენს, ევრობანკი არასოდეს ყიდულობს საკონტროლო პაკეტს. EBRD-ის ქართულ საბანკო სექტორში აქტიურად დამკვიდრება მომხმარებლისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან საკრედიტო რესურსს შედა რებით გააიაფებს. საბანკო სექტორის მხარდასაჭერად EBRD-მ 351 მლნ ევრო გამოყო, რომელიც სამ წელზე გადანაწილდა.

ქართული ბანკების დივერსიფიკაცია არსებული მდგომარეობით საკმაოდ დაბალ დონეზეა. ბანკები თავიანთი აქტივების დივერსიფიკაციას ძირითადად სამშენებლო, სალიზინგო და სავაჭრო კომპანიებში ახდენენ.

საქართველოში არსებობს რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სიახლეების განხორციელებას. ჩვენი აზრით, ეს პრობლემები, ძირითადად, მდგომარეობს: -ახალი პროდუქტების ცუდ შეფუთვაში და მათ შესახებ მოსახლეობის არასაკმარის ინფორმირებულობაში; -კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებებისადმი მოსახლეობის ხელმიუწვდომელობასა და არასაკმარის ცოდნაში; -ქართველთა მენტალურ თვისებებში და მათ არაჯეროვნად გათვალისწინებაში.

ქართული ბანკებისათვის სასარგებლოა იმის გათვალისწინება, რომ:

- ახალი საბანკო პროდუქტის დანერგვამდე კარგად გაერკვნენ, რამდენად თავსებადია ის ქართველთა მენტალურ თვისებებთან;
- მაქსიმალურად დაიყვანონ ინფორმაცია მომხმარებლამდე და გახადონ ის გასაგები;
- შეეცადონ, მოიგვან მოსახლეობის ყველა ფენა, შეიმუშაონ ისეთი პროდუქტი, რომელიც მისაღები და გამოსაყენებელი იქნება ყველა სოციალური ფენისათვის;
- ახალი პროდუქტის შემოღებამდე კარგად მოამზადონ ამისათვის შესაფერისი ნიადაგი;
- უფრო აქტიურად მიიღონ ინფორმაცია უცხოეთის საბანკო ტექნოლოგიებისა და გამოგონებების შესახებ და მოახდინონ მათი ქართულ გარემოსთან ადაპტირება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოგრაფიული დივერსიფიკაცია, გეოგრაფიულად დივერსიფიცირებული ბანკები გაცილებით მეტ შემოსავალს იღებენ ვიდრე არადივერსიფიცირებული ბანკები.

საბანკო ექსპერტების აზრით, ქვეყნის საფინანსო სფეროს მთავარი ინსტიტუტი _ ბანკი, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში რომ დარჩეს, თავისუფალი უნდა იყოს დეველოპერული, ან სადაზღვევო კომპანიის, ასევე, რაიმე სახის სავაჭრო ორგანიზაციის მფლობელობისაგან. დღეს არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, განსაკუთრებით იკვეთება ბანკის სხვადასხვა ინტერესებით გამოწვეული პრობლემები, რომელიც ექსპერტების განმარტებით, არსებულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს და ბანკებსაც უამრავ პრობლემას უქმნის.

წარმოების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით სტატიაში განხილულია ორი წამყვანი: საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი.

1. საქართველოს ბანკი მის მფლობელობაში მყოფ შვილობილ კომპანიებთან ერთად, დაყოფილია სამ ბიზნეს-მიმართულებად: 1) აქტივების მართვა; 2) დაგროვილი ქონების მართვა; 3) გალტ & თაგარტ სიქიურითი. ეს უკანასკნელი სწორედ საკუთარ თავში გულსხმობს ზემოთნახსენები სავაჭრო კომპანიების მფლობელობას.

ლიბერთი კონსუმერი (LC), რომელსაც საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია “galt end taggart menejment” მართავს, წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ის ინვესტირებას ახორციელებს ქართულ კომპანიებში, რომელთა საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა, ყოველდღიური მოხმარების საქონელი, ბიზნესმომსახურება და უძრავი ქონება.

კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი წილი წამყვან საცალო ვაჭრობისა და ყოველდღიური მოხმარების სფეროში არსებულ კომპანიებში, როგორებიცაა, საცალო ვაჭრობის კომპანია „პოპული“, ღვინის მწარმოებელი კომპანია „თელიანი ველი“ და საკვები პროდუქტის მწარმოებელი კომპანია „ნიკორა“.

2007 წლის ბოლოს LC-მ შეისყიდა პრესის გავრცელების კომპანია „პლანეტა ფორტეს“ აქციების საკონტროლო პაკეტი (51 პროცენტი). ამასთან, კომპანიას საკუთარი ინტერესები და ქონებრივი წილები აქვს `სბ უძრავ ქონებაში` რომელიც 2006 წელს დაარსდა და ახორციელებს ინვესტირებას უძრავ ქონებაში, მის განვითარებასა და საკუთრების მართვაში.

საქართველოს ბანკის მფლობელობაშია ასევე ალდაგი ბისიაი-ს აქციების 100% . ალდაგი ბისიაი საქართველოს სადაზღვევო ბაზრის 20%-ს ფლობს.

2. თი-ბი-სი ბანკი. თი-ბი-სი ბანკმა 1999 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის დღევანდელი პროკრედიტბანკის დაფუძნებაში.

2000 წელს თიბისი ბანკის 10-10 % წილის მფლობელები გახდნენ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია, ამავე წელს თიბისი ბანკს მიენიჭა საერთაშორისო რეიტინგი.

2001 წელს მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგის (GPI ჰოლდინგი) დაფუძნებაში. კომპანიამ მრავალი ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტი და სპეციალურად დამუშავებული კომპლექსური პაკეტი დანერგა ადგილობრივ ბაზარზე. საქმიანობის დაწყებიდან 3 წლის თავზე GPI ჰოლდინგი საქართველოს უმსხვილეს სადაზღვევო კომპანიათა ოთხეულში მოხვდა. კომპანია ძალზე დინამიურად ვითარდება და საკმაოდ ამბიციური გეგმები გააჩნია სამომავლოდ.

2003 წელს ფუნქციონირება დაიწყო კომპანია თიბისი ლიზინგმა, რომელიც თიბისი ბანკმა დააფუძნა. საქმიანობის დაწყებიდან 1 წლის თავზე “თიბისი ლიზინგმა” საქართველოს

სალიზინგო ბაზარზე სერიოზული პოზიციის დაკავება შეძლო: მარტო 2004 წლის განმავლობაში 15-ჯერ გაიზარდა მთლიანი სალიზინგო პორტფელის მოცულობა. დღეისათვის “თიბისი ლიზინგის” პორტფელი 7 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი ბაზრის 70%-ია. “თიბისი ლიზინგს” დაფინანსებული აქვს 132 პროექტი სხვადასხვა ტიპის დანადგარების შესყიდვაზე, რომელთა ჯამური ღირებულება 9 მილიონ აშშ დოლარს აღწევს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მიიღო გადაწყვეტილება სალიზინგო კომპანია “თიბისი ლიზინგის” აქციათა 10%-ის შესყიდვის თაობაზე. ეს EBRD-ის პირველი ინვესტიციაა საქართველოს სალიზინგო სექტორში. ფინანსური ლიზინგი არის სს “თიბისი ლიზინგის” მომსახურების ძირითად სახეობა.

თიბისი ბანკის მფლობელობაშია “ელიტ-ელექტრონიქსის” აქციების საკონტროლო პაკეტი-55%.

ამონაგების მიხედვით საბანკო დივერსიფიკაციის დონის გაზომვის სხვადასხვა მეთოდები არსებობს. მათ შორის ერთერთი სრულყოფილი მეთოდია ამონაგების გაზომვა Herfinal-Hirschman ინდექსით, რომელიც სხვა ინდექსებთან შედარებით უფრო დაწვრილებით ასახავს ბანკის სხვადასხვა სფეროებიდან მიღებულ შემოსავლებს.

აღნიშნული ინდექსი შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$DIV = 1 - \left(\left(\frac{INT}{TOR} \right)^2 + \left(\frac{COM}{TOR} \right)^2 + \left(\frac{TRAD}{TOR} \right)^2 + \left(\frac{OTI}{TOR} \right)^2 \right)$$

სადაც INT აღნიშნავს მთლიან საპროცენტო შემოსავალს, COM აღნიშნავს მთლიან საკომისიო შემოსავალს, TREAD აღნიშნავს სხვა საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, OTI აღნიშნავს სხვა დანარჩენ წმინდა შემოსავალს. TOR არის მთლიანი შემოსავალი, ანუ იგი უტოლდება მრიცხველების მთლიან ჯამს.

DIV კოეფიციენტის მნიშვნელობა შეიძლება იყოს 0-დან 0.75-მდე, იმის მიხედვით თუ რა დონეზეა ბანკი სპეციალიზებული. რაც უფრო მეტადაა ბანკი სპეციალიზებული ერთ მიმართულებაში აღნიშნული კოეფიციენტი მით უფრო უახლოვდება ნულს. იმ შემთხვევაში თუ ბანკის ამონაგები შერეული ტიპისაა, ანუ იგი შედგება სხვადასხვა სფეროების ამონაგებით, აღნიშნული კოეფიციენტი მით უფრო დიდია.

გამომდინარე იქიდან რომ საქართველოს საბანკო სივრცეში დივერსიფიკაციის შედარებით მეტი გამოცდილება თიბისი ბანკს გააჩნია, აღნიშნულ კოეფიციენტს გავიანგარიშებ თიბისი ბანკის მაგალითზე.

2011 წლის ფინანსური მაჩვენებლები: წმინდა მოგება თიბისი ბანკი - 43,050 000 –
 43,050000*80%=**34440000**; საპროცენტო შემოსავალი- 239,926000*80%=**191940800**; საკომისიო შემოსავალი 25,069000*80%=**20055200**; სხვა არასაპროცენტო შემოსავალი **44565000**; წმინდა

მოგება GPI ჰოლდინგი 100% **11,290000**- ელიტ ელექტრონიკსი 55%; თიბისი ლიზინგი 90%.

$$\begin{aligned}
 DIV &= 1 - \left(\left(\frac{191940800}{267851000} \right)^2 + \left(\frac{20055200}{267851000} \right)^2 + \left(\frac{11,290000}{267851000} \right)^2 + \left(\frac{44565000}{267851000} \right)^2 \right) = \\
 &= 1 - ((0.72)^2 + (0.07)^2 + (0.04)^2 + (0.02)^2) = 1 - (0.52 + 0.004 + 0.0016 + 0.0004) = \\
 &= 1 - 0.526 = 0.474
 \end{aligned}$$

კოეფიციენტი მიახლოებით მაჩვენებელია, ანუ იგი ზუსტად არ ასახავს რეალობას გამომდინარე იქიდან, რომ თიბისი ლიზინგისა და ელიტ ელექტრონიკსის მოგების მაჩვენებელი აღნიშნულ ფორმულაში არ არის ჩართული, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელია. რაც უფრო მეტადაა ბანკი სპეციალიზებული ერთ მიმართულებაში აღნიშნული კოეფიციენტი მით უფრო უახლოვდება ნულს. იმ შემთხვევაში თუ ბანკის ამონაგები შერეული ტიპისაა, ანუ იგი შედგება სხვადასხვა სფეროების ამონაგებით, აღნიშნული კოეფიციენტი მით უფრო დიდია. ჩვენ შემთხვევაში კოეფიციენტის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თიბისი ბანკის დივერსიფიკაცია საშუალო დონეზეა. ბანკს გააჩნია დივერსიფიკაციის ზრდის შესაძლებლობები, რაც დადებითად იმოქმედებს ფინანსურ მაჩვენებლებზე.

ფაქტობრივად, საქართველოში არ არსებობს ბიზნეს-სფერო, სადაც ბანკებსა და მის შვილობილ კომპანიებს საკუთარი წილი და ინტერესი არ ჰქონდეთ. მართალია, ამის უფლებას ბანკს საქართველოს კანონმდებლობა აძლევს, მაგრამ დღეს ექსპერტები იმაზეც ლაპარაკობენ, რომ ეს კანონმდებლობა არა საბანკო სისტემის გაჯანსაღებაზე, არამედ, კონკრეტულ ინტერესებზე იყო მორგებული.

ექსპერტები სხვადასხვა ბიზნესებში ბანკების პირდაპირ ინტერესზე საუბრობენ და ცალსახად აფასებენ, რომ ცუდია, როდესაც ბანკს სხვადასხვა კომპანიაში და მათ შორის, სავაჭრო ორგანიზაციებში, საკუთარი წილი აქვს. როდესაც ბანკი ერთდროულად არის მფლობელი საბროკერო, სავაჭრო, დეველოპერული და სადაზღვევო კომპანიებისა, პირდაპირ საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტთან.

დაუშვებელია, ბანკმა შექმნას სამშენებლო ორგანიზაცია, რომელსაც ყოფილ თანამშრომელს ჩააბარებს და ბანკიდან მისცემს სესხს. ფაქტობრივად, სესხი ერთი ჯიბიდან მეორეში ინაცვლებს. აქ არის ერთი პრობლემა: როდესაც შენივე საკუთარ ფირმებსა და ორგანიზაციებს აძლევ სესხს, ირღვევა მთავარი პრინციპი: კონკურენციის საფუძველზე საუკეთესოში დააბანდო ფული. სწორედ იმის გამო, რომ ბანკებს სხვადასხვა ორგანიზაციებში საკუთარი ინტერესები გააჩნიათ, შეიქმნა ქვეყანაში საბანკო კრიზისი.

ბანკი უმეტეს შემთხვევაში, როდესაც საკუთარ კომპანიებზე გასცემს სესხებს, ფაქტობრივად, იმ მეანაბრის ფულით რისკავს, ვისაც ამ ბანკში შეაქვს ფული. დღეს დეველოპერული ბიზნესი უმძიმეს ვითარებაშია და ბანკის მხრიდან სხვისი თანხის ამ ბიზნესისთვის მიცემა, მეტად სარისკოა. თანაც, იმის გამო, რომ დეველოპერულ კომპანიებს უჭირთ, ბანკი კი მათი მეწილეა, ბუნებრივია, ბანკებსაც გაუჭირდებათ და გარკვეული პრობლემები შეექმნებათ.

თუმცა ყოველივე ზემოთთქმული არ ნიშნავს იმას, რომ დივერსიფიკაცია ბანკისათვის მხოლოდ ნეგატიური შედეგების მომტანია. დივერსიფიკაციას ყოველთვის აქვს დადებითი შედეგი, თუკი ინვესტირების სფეროები სწორად იქნება შერჩეული. საქართველოში ძირითადად სამ სფეროში ხდება საბანკო აქტივების დივერსიფიცირება: დაზღვევა, მშენებლობა და ვაჭრობა. ჩემი აზრით აუცილებელია დივერსიფიცირება ისეთ სფეროებში, რაც ნაკლებად დაკავშირებულია საბანკო საქმიანობასთან.

საქართველოს საბანკო სისტემაში დივერსიფიცირებას საკმაოდ მოკლე გამოცდილებაა. თუმცა აღსანიშნავია რომ დივერსიფიკაციის პროცესი საკმაოდ სწრაფად იზრდება. 2010 წელს სექტორების მიხედვით დივერსიფიკაცია 19 კომერციული ბანკიდან მხოლოდ სამ ბანკს ქონდა, 2011 წლის მონაცემებით სიტუაცია არსებითად შეცვლილია. დივერსიფიკაციის სტრატეგიას მიმართეს ბანკმა რესპუბლიკამ, მათ მფლობელობაშია ელიტ ელექტრონიკის აქციების 30%, ლიბერთი ბანკმა, მას უკვე ორი შვილობილი კომპანია ყავს, ესენია: სმარტექსი, რომელიც კლიენტებს სთავაზობს საფოსტო-საკურიერო მომსახურებას საქართველოს მასშტაბით და ბას სტოპ, რომელიც წარმოადგენს თბილისში 300ზე მეტი ავტობუსის მოსაცდელის ექსკლუზიურ ოპერატორს.

საბოლოო დასკვნის გამოტანა მონაცემების სიმწირის გამო ცოტა რთულია. თუმცა ამ სამი ბანკის ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია იმის თქმა, რომ დივერსიფიკაციას მკაფიო ნეგატიური შედეგები ჯერ არცერთი მათგანისათვის არ მოუტანია. საქართველოს ბანკის მაგალითზე 2010 წლის მონაცემებით შვილობილი კომპანიის მოგების წილი საკმაოდ მაღალი იყო მთლიან მოგებაში. საქართველოს ბანკის მთლიანი მოგება იყო - **16,755** მილიონი ლარი. აღდაგი ბისიაი-ს შემოსავალი კი -4,5 მილიონი ლარი.

დღეს ბანკები ცდილობენ კლიენტებს შეთავაზონ მრავალფუნქციური სადეპოზიტო ანგარიშები, აღინიშნება საბანკო პროდუქტების დივერსიფიცირების ზრდის ტენდენცია, რაც კლიენტს მონოსადეპოზიტო ანგარიშებისგან განსხვავებით საშუალებას აძლევს გარდა პროცენტის დარიცხვისა, დააზღვიონ სავალუტო და საპროცენტო რისკები. საბანკო პროდუქტების დივერსიფიკაციის კუთხით ბანკები საკმაოდ მაღალ დონეზე არიან, განსაკუთრებით აღსანიშნავია წამყვანი ბანკები: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, რომლებიც მრავალფეროვან საბანკო მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს. დღეს ქვეყნის ეკონომიკის კონიუნქტურა სექტორულ განვითარების თვალსაზრისით ისეთია, რომ პრიორიტეტი ვაჭრობის სფეროს ენიჭება და აქედან გამომდინარე საკრედიტო პორტფელში ვაჭრობის სფეროს დაფინანსებას 65%-ი უკავია. თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის უახლოეს წლების განვითარების პერსპექტივებს ეს მაჩვენებელი დაიკლებს და შესაბამისად გაიზრდება ტურისტული ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის დაფინანსება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stiroh K. J. Diversification in Banking: Is Noninterest Income the Answer?
<http://www.questia.com/googleScholar.qst?docId=5007705395>

2. Acharya V.V., Richardson M. 2009. *Restoring Financial Stability: How to Repair a Failed System*.
3. კოჭანაძე ი., კონტრიძე გ. 2009. საქართველოს საბანკო სისტემის ზოგიერთი პრობლემა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე. *საქართველოს ეკონომიკა*, (1).
4. გვასალია ზ. ქართული ბანკები რეგიონების ათვისებას იწყებენ. საქართველოს საბანკო ასოციაცია.
5. დანიაშვილი მ. 2009. როგორ ებრძვის ფინანსურ კრიზისს საქართველოს საბანკო სისტემა. *საქართველოს ეკონომიკა*, (3).
6. ხითარიშვილი ნ. 2010. საბანკო ინოვაციები 21-ე საუკუნეში. www.businesscafe.wordpress.com